საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/20

ქ.თბილისი

"20" ივლისი 2016 წ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის კონსულტანტების თამარ ბოკუჩავასა და თამარ ჭელიძისთვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატში დასაქმებულთა შეფასების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") N411/22 (16.06.2016წ.) გადაწყვეტილების, კომისიის აპარატის კონსულტანტების თამარ ბოკუჩავასა და თამარ ჭელიძის N7-106832-16 (14.07.2016წ.) ერთობლივი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე და „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. კომისიის აპარატში დასაქმებულთა შეფასების პროცესის სრულყოფილად წარმართვის მიზნით, კომისიის აპარატის კონსულტანტებს **თამარ ბოკუჩავას** და **თამარ ჭელიძეს** მიეცეთ უფლებამოსილება განახორციელონ კომისიის აპარატში დასაქმებულთა კომისიაში დაცული შრომითი ხელშეკრულებებისა და პირადი საქმეების ანალიზი;

2. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტს (გ. კვანტალიანი) უზრუნველყოს კომისიის აპარატის კონსულტანტების **თამარ ბოკუჩავასა** და **თამარ ჭელიძის** შეუზღუდავი და სრული ხელმისაწვდომობა კომისიის აპარატში დასაქმებულთა (საშტატო/არასაშტატო) კომისიაში დაცულ შრომით ხელშეკრულებებსა და პირად საქმეებზე, მათი უფლებამოსილების განხორციელების ვადით;

3. კომისიის აპარატის კონსულტანტები **თამარ ბოკუჩავა** და **თამარ ჭელიძე** ვალდებულნი არიან კონფიდენციალურად შეინახონ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მათთვის ცნობილი პერსონალური მონაცემები და/ან ინფორმაცია, რომელიც ითვლება კომერციულ ან პირად საიდუმლოებად მოქმედი შრომითი ხელშეკრულებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად;

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

5. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., N 6) ერთი თვის ვადაში.

6. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს იოსებ ხარებავას;

კომისიის თავმჯდომარე **ვახტანგ აბაშიძე**